საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახალდაბის განძი

ახალდაბის განძი, 1. XIII ს. ვერცხლის მონეტების განძი, აღმოჩენილი 1968 დაბა ახალდაბაში (ბორჯომის მუნიციპ.). მონეტების ძირითადი ნაწილი (186 ც.) მოჭრილია თბილისში მანგუ-ყაენის სახელით, ხოლო დანარჩენი რუმის სელჩუკებს, დავით VII ულუს, მანუელ I კომნენოსსა და თავრიზში მოჭრილ ანონიმურ სერიას მიეკუთვნება. ქრონოლ. დიაპაზონია 1220–63, ჩამარხულია არა უგვიანეს 1270.

ლიტ.: Д ж а л а г а н и я И. А., Иноземная монета в денежном обращении Грузии V–XIII вв., Тб., 1979.

გ. დუნდუა